

## ივანე ჯავახიშვილის ერთი უხელოი ნაილი

### 3. ღონეა

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის აკად. ი. ჯავახიშვილის კაბინეტის არქივში დაცულია კ. ხომერიკის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი (ფონდ. ი. ჯ.—ხ 10), რომლის ტექსტი აქვე მოგვუაქვს მთელი სისრულით:

„დამსახურებულ პროფესორს და საზოგადო მოღვაწეს მოქ. ივანე ჯავახიშვილს.

დიდით პატივცემულ პროფესორო!

თუ თქვენთვის არ დარჩება საძნელოთ, ძალიან გთხოვთ წერილობით მომცეთ ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ საიდან წარმოსდგა სიტყვა—გლეხი, ყაზახი, კრესტიანსტვო და მუჟიკი.

ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. პატივისცემით კ. ხომერიკი. ჩემი მისამართი: საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილება, საპიორის ქ., № 30“.

წერილი უთარიღოა და მანქანაზე დაბეჭდილი. ხელწერა წითელი მელნითაა შესრულებული.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა კ. ხომერიკს, თანახმად მისი თხოვნისა, მისცა წერილობითი განმარტება ზემოთ აღნიშნულ სოციალურ ტერმინებისა, რომელიც კ. ხომერიკმა ამოსაკითხავად გადასცა თავის თანამშრომელს აკაკი ბუაძეს\*.

აკაკი ბუაძეს ამოკითხული წერილის მანქანაზე დაბეჭდილი პირის ერთი ცალი თავისთვის შეუხანავეს. როგორც საინტერესო დოკუმენტი. რადგან დედანი, სამწუხაროდ. ჯერ არსად ჩანს, ჩვენ ვაქვეყნებთ მანქანაზე დაბეჭდილ ტექსტს. კვადრატულ ფრჩხილებში ჩვენ მიერ აღდგენილია მანქანაზე დაბეჭდილში გამოტოვებული არაქართული ანბანით გამოსახული სიტყვები. ბოლოში ჩვენ ვიძლევიტ შენიშვნებს, სადაც მკითხველი იმასაც სცნობს, თუ რა საბუთიანი, სარწმუნო წყაროებით ნაკარნახევი იყო მეცნიერის განმარტებები.

წინამდებარე წერილში, საერთოდ, კარგად იცნობა ღრმად განსწავლული, პუნქტუალური და დაუზარებელი ივ. ჯავახიშვილი.

საქ. ცაკის სოც.[იალური] უზრ.უნველყოფის) განყოფილების გამგეს  
მოქ. კ. ხომერიკს

თქვენი სურვილის თანახმად გაახლებთ ცნობებს ქვემომოყვანილს:

სიტყვა „გლეხი“ ძველ ქართულ მწერლობაში მეათე საუკუნემდე არ იხმარებოდა და პირველად მე-11 ს-ში ჩნდება<sup>1</sup>. „გლეხი“-ს მაგიერ იმ დროს ხმა-

\* ი. ჯავახიშვილი ჩვეულებრივ წერდა პალეოგრაფიული ძეგლებისათვის დამახასიათებელი გაცრული ხელით.

რობდენ „მსოფლიოი ერის კაცი“, „ერნი მსოფლიონი“, „მდაბიოი“ და „წურილი ერი“<sup>2</sup>. აკად. მარი ბროსსე ფიქრობდა, რომ ქართულ სიტყვას „გლეხი“ სომხურ სიტყვასთან [გლխჩქ] „გრეპიკ“ უნდა ნათესაობა ქონდეს<sup>3</sup>. სომხური ეს ტერმინი სოფელს, მდაბიოს ნიშნავდა. იქ ამას გარდა არსებობს სიტყვა [გლხ] „გრეპ“, რომელიც ქუჩისა და გზის მნიშვნელობით იხმარებოდა. მაგრამ აქედან სოფელისა და მდაბიოს მნიშვნელობა როგორ წარმოსდგა, ძნელი გამოსარკვევია. ამასთანავე ტერმინი „გრეპიკ“ სომხურში ძველ ხანაში არ იხმარებოდა და მხოლოდ შემდეგში, შედარებით გვიან შემოდის. ამგვარათ იქაც იგი ადგილობრივი სიტყვა არ უნდა იყოს. არამედ ქართულივით ნასესხები ტერმინი ჩანს. ხოლო რადგან სომხურში „გრეპიკ“ ქართულ „გლეხ“-ზე ადრე არ ჩნდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართულსაცა და სომხურსაც რომელიღაც საერთო წყაროდგან უნდა ჰქონდეთ ეს ტერმინი შეთვისებული<sup>4</sup>.

სიტყვა „გლეხი“ მე-11 ს-იდან მოყოლებული წოდებრივი ერთეულის სახელათ იხმარებოდა, სახელდობრ წოდებრივი წყობილების დაბალ საფეხურზე მდგომი სოფლის მცხოვრების აღმნიშვნელი იყო. მნიშვნელობით იგი არსებითად განსხვავდებოდა ტერმინისაგან „ყმა“, რომელიც პატრონყმური და შემდეგ ზატონყმური დამოკიდებულების გამომხატველი იყო<sup>5</sup>. გლეხი შეიძლება, ისევე როგორც აზნაური და ვაჰარცი ყმად ყოფილიყო, მაგრამ ყოველთვის არა, თავისუფალი გლეხებიც არსებობდენ. ერთი სიტყვით, „გლეხი“ და „ყმა“ სულ სხვადასხვა ცნებათა გამომხატველი იყო. ეს ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის შემდეგ დებულებითგანაც ჩანს: „ვისაც ერთმანეთისა ჰყვეს ანუ მკვიდრი გლეხი და ანუ ყმაი“-ო (§75)<sup>6</sup>, „ვისცა ვისი მკვიდრი ყმა ჰყავდეს, გინა გლეხი“-ო (§ 77). გლეხი და ყმა რომ ერთი და იგივე ყოფილიყო, ცხადია კანონში ორივე დასახელებული არ იქნებოდა. ამგვარათ, „გლეხი“ წოდებრივი საფეხურის აღმნიშვნელი იყო თავიდაგანვე და ასეთივე მნიშვნელობა შერჩა მას შემდეგშიაც, მე-16-18 სს. საკანონმდებლო ძეგლებში<sup>7</sup>. საბა ორბელიანსაც ასევე ესმოდა ეს სიტყვა და ნათქვამი აქვს: „გლეხი მოსახლე მდაბიო“ არისო (ლექსიკ.).

„ყაზახი ქართულ მწერლობაში მე-18 ს-მდე, ჯერჯერობით მაინც, არა ჩანს. მე-18 ს-შიაც მეტად იშვიათი სიტყვა ყოფილა. საბა ორბელიანს იგი ლექსიკონში არც კი აქვს მოთავსებული. ეს ტერმინი ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნში მოიპოვება, ისიც, თუ არ ვცდები, ერთგან. 89-ე მუხლში ნათქვამია: „თუ ყაზახმან კაცი მოკლას მზირობით და გამოჩნდეს... სამწილად სისხლი მისცეს, და თუ მზირი მოიკლას, მისი სისხლი არ არის“-ო<sup>8</sup>. აღმოს. საქართველოში ეს სიტყვა მე-19 ს-ში მხოლოდ რუს-ყაზახების სახელათ იხმარება<sup>9</sup>.

აღსანიშნავია, რომ თუმცა დასავლეთ საქართველოში სიტყვა „ყაზახი“ მე-19-20 სს-ში გავრცელებულია<sup>10</sup>, მაგრამ ძველ საბუთებში 1810 წლამდე არა ჩანს. საგანგებოდ ამ საკითხის გამოსარკვევად გადავიკითხე მე-16-18 სს. დასავლეთ საქართველოს სიგელ-გუჯარები და, თუ შემთხვევით სადმე არ გამომეპარა და არ ვცდები, ტერმინი „ყაზახი“ არსად ნახმარი არ არის. ყველგან მხოლოდ გლეხი, მოსახლე, მოჯალაბე ან ყმა სწერია. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ „ყაზახი“ წინათ ქართულში არც სოციალური და არც ეკონომიური ურთიერთობის გამომხატველი ტერმინი არ უნდა ყოფილიყო და თანაც ქართული სიტყვა არ უნდა იყოს. თურქ-ოსმალურსა და რუსულში არსებობს სიტყვა [ყაზაყ] ყაზაყ, რუს. კაზაკ. ოსმალურად ეს სიტყვა თავაშვებულს, თავზე ხელალებულს, ყაჩაღსა და ყაზახ-რუსსა ნიშნავს<sup>11</sup>. რუსულად, რომელშიაც ეს სიტყვა თურქულითგან ნასეს-

ხებ ტერმინათ ითვლება. ძველად თავისუფლად მოსიარულეს, მოხეტიალეს, თავისუფალს და შემდეგ რუსეთის სამხრეთის სანაპიროზე მცხოვრებ ბატონყმობისაგან გამოქცეული ხალხის აღმნიშვნელი იყო<sup>12</sup>. ფრანგმა მეცნიერმა კლაპროტმა მე-19 ს. დამდეგს აღნიშნა, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსები მდ. ყუბანის მიდამოებში მცხოვრებ ჩერქეზების ქვეყანას „კაზახია“-ს უწოდებდენ<sup>13</sup>. ოსებიც ჩერქეზებს ეხლაც „კეზხ“ ან „კაზახ“-ს ეძახიან, მეგრელებიც ჩერქეზთა მთავარს „ქაშაქთ მეფე“-ს უწოდებენო<sup>14</sup>. ფრანგი მეცნიერი ფიქრობდა, რომ რუსი-ყაზახები ჩერქეზებთან შერეული ტომი უნდა იყოს და იმიტომ დაერქვა ასეთი სახელი<sup>15</sup>. აკად. ნ. მარრიც „ყაზახ“-ს სატომო სახელად სთვლის<sup>16</sup>. საფიქრებელია რომ კლაპროტი მართალია. ძველ ქართულ მწერლობაშიაც მე-11-12 სს. იხსენიებიან „კ ა შ ა გ ნ ი“<sup>17</sup>. რუსი მემკვიდრეები მათ „კასოგ“-ებს უწოდებდენ. და ეს სახელი სწორედ ჩერქეზთა აღსანიშნავად იხმარებოდა იმ დროს. მაგრამ ქართულში „ყაზახი“ რასაკვირველია ამ მნიშვნელობით არ არის შემოსული. ვახტანგ 6-ის ზემომოყვანილ კანონში ყაზახი ყაჩაღის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ე. ი. ოსმალური სიტყვის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. დასავლეთ საქართველოში იგი მე-19 ს-ში შემოსული ჩანს და ყოჩაღის. ძლიერისა და შემდეგ გლეხის აღმნიშვნელობა როგორ მიიღო. ეს ჯერ გამოსარკვევია. შესაძლებელია რუსულითგან იყოს შეთვისებული<sup>18</sup>.

რუსული „კრესტიანინ“ ძველად „ხრისტიანინ“-ად იწერებოდა და თავდაპირველად ქრისტიანე ხალხს ნიშნავდა. შემდეგში თავისი ფუძის მქონებელ მიწისმოქმედ სოფელს ეწოდებოდა და ამგვარად ქართულ გლეხს უდრის<sup>19</sup>.

„მ უ ე ი კ“-ი წარმომდგარია სიტყვისაგან „მ უ ე“. ე. ი. კაცს აღნიშნავდა, და ძველ რუსეთში მთელი მოსახლეობა მუჟ-ებთა იწოდებოდა: იყვნენ სხვილ-ჩი და წვრილნი, რომელთა კნინობითი ფორმა „მუჟ-იკ“ შემდეგში მთელი გლეხთა მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინათ იქცა<sup>20</sup>.

ბოდიშს ვიხდი, რომ გაუარკვეველი ხელით არის დაწერილი და გადაწერილი არ არის. მაგრამ მეშინოდა, რომ უფრო არ დაგვიანებულყო. თუ რაიმე დამატებითი ცნობებია საჭირო, მაცნობეთ და გაახლებთ.

თქვენი პატივისმცემელი  
ივ. ჯავახიშვილი  
1928. 7. III.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. „გლეხი“ ი. ჯავახიშვილს მიკვლეული ჰქონდა XI ს-ის, არა უადრეს, დიპლომატიკურ ძეგლებში (მელქისედეკ კათალიკოზისა და ნიკორწმიდის სიგელები აღნიშნული საუკუნისა და სხვ.). იხ. მისი: ქართული სამართლის ისტორია, წ. 1 (ქუთაისი, 1919), გვ. 37; იგივე სათაური, წ. 2. 1 (ტფ., 1928), გვ. 37—38.

2. იქვე.

3. ბროსეს ეს აზრი ავტორს მოჰყავს უკვე თავის ძველ ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, წ. I (ტფ., 1907), გვ. 10, და მითითებას იძლევა ბროსეს ნაშრომზე „Description géographique de la Géorgie par... Wakhoucht (სპბ., 1842), გვ. 9. იგივე დებულება ბროსეს სხვა ნაშრომშიც იჩენს თავს: Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. 7, გვ. LXXXI (სპბ., 1858).

4. „გლეს“-ის შესწავლის ისტორიისთვის იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკიდან. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“. 1 (თ.. 1959). გვ. 167-175.

5. გლეხი. ყმა. პატრონყმობა. როგორც სოციალური ურთიერთობის ანარეკლი ცნებები. ვრცლად იხ. ავტორისეული „სამართლის ისტორიის“ ზემოთ მითითებული ადგილები. პატრონყმობასთან შედარებით ბატონყმობის მერმინდელობა („... პატრონყმური და შემდეგ ბატონყმური“...)—ავტორისეული ეს თეზისი. გაშლილი. იხ. მისი „საქართველოს ისტორია XI-XV სს.“ (თ.. 1949). გვ. 265-266. იგივე სათაური (მაკეტი. თ., 1940), გვ. 281.

შემდეგმა კვლევამ ბატონყმობის განვითარების პერიოდიზაციის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა. მიიღო დებულებად, რომ „მდაბიორნი“ (ეასალები) უკვე XI-XII სს-ში „გლესურად იბეგრებოდნენ. გლესდებოდნენ“; მათი უმრავლესობა უკვე მაშინ „გლესურად იბეგრებოდა. პატრონიც (სენიორი.—ვ. დ.) დაბეგრულ მდაბიორსა და გლესს აღარ ასხვავებდა ერთმეორისაგან“ (ნ. ბერძენიშვილი)<sup>1</sup>.

6. ბეჟა-აღბულას სამართლის ახალი გამოცემა იხ. ა. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი (თ.. 1953), გვ. 281 და შდგ. ჩვენს წერილში მითითებულ § 75-ს აღნიშნულ გამოცემაში სცვლის § 74.

7. მე-16-18 სს. საკანონმდებლო ძეგლთაგან საგულისხმებელია „სამართალი კათალიკოზთა“. XVI ს. ტექსტი იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, I (თ.. 1963; რედ. ი. დოლიძე) და „სამართალი... ვახტანგისა“ (დასახელებულსავე კრებულში).

8. „ყაზახი“ ვახტანგის სამართალში გამოყენებულია სხვაგანაც. იხ. მუხლები 148; 210 (გვ. 536, სტრიქ. 2, 6, 19); აგრეთვე ვახტანგის სამართლის კრებულში შეტანილ თარგმნილ სამართალშიც: ბერძნულში (მუხ. 307; გვ. 200), სირიულ-რომაულში (მუხ. 117, გვ. 258). მხითარ გოშის. სომხურ. სამართალში (მუხ. 200, გვ. 297).

ვახტანგ VI-მ „ყაზახები“ („ყაზახნი ნავთა მცრცველია“) გამოიყენა თავის პოეტურ შემოქმედებაშიც. იხ. მისი „ლექსები და პოემები“. ა. ბარამიძის რედ. (თ., 1947). გვ. 100, 87. 1 და 88. 1.

9. „ყაზახი“ რუს-ყაზახის მნიშვნელობით. დავძენთ ჩვენ. ქართულში შეიტანა დავით გურამიშვილმა (დავითიანი. გვ. 93, 473; თ.. 1955). ამას გარდა, აღმ. საქართველოში მე-19 ს-შიც ჩანს „ყაზახი“ გამოყენებული აბრაგის მნიშვნელობით. „ყაზახი“ და აქედან ნაწარმოები „ყაზახობა“ (მოქმედება) და „მოყაზახე“ იხ. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა<sup>2</sup>, ტ. I, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, გვ. 138, 139, 151; თ., 1936. უმაღლაც ეს სიტყვა იოსებ ტფილელს უხმარია<sup>3</sup>.

10. დას. საქართველოში ეს სიტყვა ფართოდ შექრილა. აი მაგალითები:

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, დამბ. სახელმძღვ., თ., 1958, გვ. 178.

<sup>2</sup> ეს წიგნი იწერებოდა 1813-1828 წწ.

<sup>3</sup> გვ. 57, 415, 4: „ყაზახ მეკობრე, ქალალი, ჩვენს ეერას მოიპარედეს“ (დიდმოურავონი, გ. ლეონიძის რედაქციით. თ., 1939).

გურ. „ყაძახი“ (აქ და ნაწარმოებ სიტყვებში „ყ“ და „კ“-ს მონაცვლეობით) — გლეხი; მამაკაცი; უხეში; უჩიშო<sup>4</sup>. „ყაძახი (ქალი)“ — მამაკაცის მსგავსი<sup>5</sup>. „ყაძახ რუსი“ — ყაზახ-რუსი<sup>6</sup>.

იმერ. „ყაძახი“ (გლეხი). „ყაძახურათ აცვია“; „ყაზახები“<sup>7</sup>. „...გლეხი. ყაზახი გარეგნობით“<sup>8</sup>.

მეგრ. „ყაზახი“, „ყაზახი“, „ყაზახი“ — გლეხი; ძლიერი და ა. შ.<sup>9</sup> იხ. აგრეთვე „ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. IV (თ., 1955), ს. V. კაძახი, და ტ. VII (თ., 1962), ს. V. ყაზახი (და აქედან ნაწარმოები სიტყვები).

11. ამ განმარტებას ადასტურებს ლ. ზ. ბუღაგოვი. Сравнительн. словарь турецко-татарских наречий, ტ. II (სპბ., 1871), გვ. 54. სადაც აღნიშნულია „კაზაკ“-ის სხვა მნიშვნელობათა შორის „ვოლნი“, „ბრადდაგა“, „რაზბოჯნიკ“; აგრეთვე „კაზაკი“ — როგორც ყირგიზების თავისსახელი. უკრაინის აღმნიშვნელი სახელი და სხვ. იხ. აგრეთვე „ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. VII, ს. V. ყაზახი (და მისგან ნაწარმოები სიტყვები).

12. ეს განმარტება რუსულში ხმარებული „კაზაკ“-ისა კარგად უდგება სათანადო ლექსიკონებში და სხვა მასალებში მოცემულ ცნობებს. სპეციალური კვლევა მხოლოდ მნიშვნელობათა სხვაობას გაზრდიდა. ასე, ისტორიულად დადასტურებულია რუს. კაზაკი „სლუგას“. „დაქირავებული რაბოტნიკის“<sup>10</sup> ან კიდევ „მოფირალე ვაჟაკის“ მნიშვნელობითაც<sup>11</sup>.

13. ეს მითითება კლაპროთზე<sup>12</sup> ი. ჯავახიშვილს დაზუსტებული აქვს ნაშრომში „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, წ. 1<sup>13</sup>, გვ. 271-272; ჩვენი ისტორიკოსი სარგებლობდა კლაპროთის ფრანგული თარგმანით — Voyage au mont Caucase et en Géorgie, I—II, Paris, 823. აღნიშნულ წყაროებში ნაგულისხმევია კონსტანტინე პორფიროგენეტის De administrando imperio, X-ს., რომლის შესამოწმებლად ახლა იხ. ს. ყაუხჩიშვილი, Geographica. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. 2, გვ. 224 და 232; თ., 1952.

14. ჩერქეზების (ადიღეს) სახელად რომ ოსებში წინათ „ყაზახი“ ყოფილა ხმარებაში, ეს ი. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს სხვა შრომაშიც: „ქართულ

<sup>4</sup> გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 73. ქართველურ ენათა ლექსიკა. 1. გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. თ., 1938. კაძახი — გლეხი (ს. ელენტი, გურული კოლო (ტფ., 1936), გვ. 228.

<sup>5</sup> გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, გვ. 34.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> გ. წერეთელი, კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა, გვ. 43 (რჩეული, I, თ., 1947).

<sup>8</sup> დ. კლდიაშვილი, ქაშუშაძის გაქირება, გვ. 248, 285, 289, 290 და სხვ. (თხულ. ტ. I, თ., 1952).

<sup>9</sup> ი. ყიფშიძე, მეგრ. — რუს. ლექსიკონი, გვ. 354 (მისი Граммат. 5 мингр. — Материалы по языкознанию. Спб., 1914).

<sup>10</sup> А. Г. Преображенский, Этимол. словарь русского языка (მ., 1958), გვ. 281—282.

<sup>11</sup> Толков. словарь русск. яз. д. 6. ჟუაკოვის რედ. (მ., 1935), ს. V.

<sup>12</sup> გერმანელი მეცნიერი კლაპროთი ჩვენს დედანში შემთხვევით ფრანგად არის რეკომენდებული. შდრ.: ი. ჯავახიშვილი, ქართ. და კავკას. ენების..., გვ. 25.

<sup>13</sup> ზუსტი სათაური: ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, გ. ჩიტაიას რედაქციით, თ., 1950.

და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა (თ., 1937), გვ. 16, სადაც ციტაციის წესით დასახელებულია *Güldenstädt*-ის (XVIII ს.) სათანადო ცნობა. ამას დავსძინოთ ავტორიტეტული ცნობაც. რომ თანამედროვე ოსურში *Kaesaeg* აღნიშნავს „ყაბარდოელებს“. ამ ხალხსა და მის მიწაწყალს (ვ. ი. აბაევი, *Историко-этимологический словарь осетинского языка*, I, გვ. 588; მ.—ლ., 1958).

კლაპროთის ცნობა, რომ ოსებთან ერთად მეგრელებიც ჩერქეზებს ყაზახ-ქაშაკის (ფრ. ტექსტში: *Kazakh* და *Kessek*) ახელით იცნობდნენ, იხ. ი. ჯავახიშვილის „ქრთველი ერის ისტორიის შესავალი“. წ. 1, გვ. 271-272. (აქ მოხსენებულია ძველ მეგრელთათვის ცნობილი „ქაშაკ-მეფე“). იხ. აგრეთვე კლაპროთის დასახელებული შრომის ტ. I, თ. IV, გვ. 57.

15. კლაპროთის ეს დებულება ტექსტში სიტყვასიტყვით ასე იკითხება: „Il parait que ceux-ci (sc. აზოვის ყაზახები) se sont mêlés davantage avec leurs voisins les Tcherkesses, puisque, depuis ce temps, les mots Tcherkesse et Cosaque sont devenus synonymes“ (გვ. 60).

16. ი. ჯავახიშვილის ამ ნათქვამს ნ. მარის შესახებ ადასტურებს შემდეგიც: ავარული ენის ერთი ფონეტიკური თავისებურების სრულხმოვანების ცხადსაყოფელად ნ. მარი მიმართავს ასეთ მაგალითსაც (ამოვიწერთ ტექსტულურად): „qazaq вм. qazq этн. и соц. термины: хазх (хазих), крестьянин“<sup>14</sup>. ესე იგი: ავარულში „ხაზახ“-ი (შდრ. ყაზახი) ეთნიკური ცნებაცაა და სოციალურიც, ამდენადვე „ხაზახ“-ს შეესატყვისება გლები“-ო. მკითხველი იგულისხმებს, რომ ჩვენს მეცნიერს არაერთგზის სოციალური ცნება ტომობრივიდან გამოუყვანია<sup>15</sup>.

17. ქაშაგნი: ამათ შესახებ ზუსტი ცნობა ი. ჯავახიშვილს მოჰყავს ზემოთ დასახელებულ შრომაში (ქართ. ერის ისტორიის შესავ., გვ. 273), სადაც გამოყენებული აქვს ამ ტომობრივი სახელის საინტერესო ფორმა „ქაშოგნი“ (შდრ. რუს. წყაროების „კასოვი“). ფორმა „ქაშაგნი“ იხ. ბასილი, ცხორება მეფეთმეფისა თამარისი (XIII ს.), გვ. 35, გამოც. ი. ჯავახიშვილისა, თ., 1944.

18. ცალკე უნდა აღინიშნოს XVIII ს-ის საბუთებში („საქართველოს სიძველენი“, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910) ჩვენგან შემჩნეული შემთხვევები „ყაზახის“ გამოყენებისა. ირაკლი II-ის მიერ 1750-1760 წწ. გაცემულ „კახეთის ბაჟების გარიგების“ ტექსტში იხსენიებიან „ცხენიანი ყაზახი“, რომელსაც შეეძლო კახეთს „საქონელი მოეტანა“ („ცხენიანმა ყაზახმა თუ საქონელი მოიტანოს“, გვ. 135), და სათანადო შემთხვევაში გამოყვანილი „ქვეითი ყაზახი“ (გვ. 136). საფიქრელია, რომ მოცემულ მაგალითში „ყაზახი“ უნდა ნიშნავდეს დღევანდელი აზერბაიჯანის კ ა ზ ა ხ ის რ ა ი ო ნ ის, იმდროინდელი ყაზახის (გეოგრა.) ბინადარს, ყაზახ-„თათარს“. ეს „თათარები“ რყვნენ ის „ყაზახნი“-ც, რომელნიც თეიმურაზ I-ის დროს, „არჩილიანის“ მიხ-

<sup>14</sup> Н. Я. Марр, *Непечатный источник истории Кавказского мира. (Из третьей лингвистической поездки в Дагестан, 24 дек.-12 янв.)*, Известия Академии Наук, 1917, გვ. 324.

<sup>15</sup> მაგალითი იხ. ნ. მარი, *К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа*, Известия Академии наук, 1916, გვ. 1406.

ედვით, კახეთს უტევდნენ, როსტომ მეფის ლაშქრის მონაწილენი, და რომელ-  
თა ასეთი ეთნიკური ვინაობა სწორად შენიშნა თავის ალაგას ნ. ბერძენი-  
შვილმა<sup>16</sup>.

19. რუს. ხრისტიანიანის ასეთი სემასიოლოგიური განვითარების  
შესახებ იხ. А. Г. Преображенский, Этимологический словарь русского  
языка (მ., 1958), გვ. 384.

20. ძველი რუსეთის „მუჟების“ (мужи) შესახებ იხ. Б. Д. Греков,  
Крестьяне на Руси (მ.-ლ., 1946, გვ. 77, 87; შდრ. Г. Е. Кочии, Матери-  
алы для терминологического словаря древней России (მ.-ლ., 1937), გვ.  
196 შდგ...; გვ. 198 (мужики).

<sup>16</sup> არჩილიანი, ტ. II. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა (ა. ბარამიძისა და  
ნ. ბერძენიშვილის რედაქციით: თ., 1937), ხანა 1007. I: „...ხისიყს მოუხდენ ყაზახ-  
ნი“, და საიმისო ლექსიკონი, ნ. ბერძენიშვილის შედგენილი, გვ. 199 (ყაზახი). აღნიშნული  
ოპი (1648 წ.) იხ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გამოც. ზ. კვიციანიძისა, თ., 1913, გვ. 75.